ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3297459

ნომერი: AR1492492

თარიღი : 03.04.2017

გაცემის თარიღი : 01.06.2017

გაცნობის თარიღი : 01.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი კურდღელაშვილი პ/ნ 01024008264
- თბილისი ს.ჯანაშიას ქ. N 16/18/20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის №1333982 გადაწყვეტილებით გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 3 აპრილის AR1492492 განცხადებით მომართეს აკაკი კურდღელაშვილმა ბექა ჩიქობავამ და გოჩა ლომიძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის №1333982 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, ობიექტის ფუნქციის ცვლილებისა და საკადასტრო კოდის დამატების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის №1333982

გადაწყვეტილებით №01.17.12.005.024 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის (მიწის ნაკვეთის ფართობი: 1002 კვ.მ), სასტუმროს და ლუდის ბარის აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დღეისათვის განმცხადებლები ითხოვენ საპროექტო ობიექტის დასახელებაში სასტუმროს და ლუდის ბარის გარდა დაფიქსირდეს კომერციული და დამხამრე ტექნიკური ნაგებობა. ამასთან, ხსენებულ პირობებს დაემატოს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.12.005.026 ფართობი 4963 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882014238748, რეგისტრაციის თარიღი : 13.05.14 წ.).
აღნიშნული ცვლილებების ასახვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის №1333982 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის №1333982 გადაწყვეტილებით გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: სასტუმრო, ლუდის ბარი, კომერციული და დამხამრე ტექნიკური ნაგებობა;
2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.12.005.026 ფართობი 4963 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882014238748, რეგისტრაციის თარიღი: 13.05.14 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს განახლებული სქემატური ნახაზი, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის ჩვენებით;
4. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 4 მაისის სხდომის N18 ოქმი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 22 მაისის N1-1150 ბრძანება;
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივნისის №1333982 გადაწყვეტილებასთან ერთად;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.